გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ენერგოეფექტური თვითმმართველობის ერთეული - ენერგოეფექტურობის გადაწყვეტილებების საპილოტე განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

გარემოს დაცვა, ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ხელშეწყობა.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, არასამთავრობო ორგანიზაცია - სოლიდარობის ფონდი პლ საქართველო (Solidarity Fund PL in Georgia).

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი მთაგორიანია. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 825 კვ. კმ-ს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 19 227 ადამიანს. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ გურულები, ასევე ცხოვრობენ აჭარლები. მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, გარკვეული ნაწილი - მუსლიმი. მუნიციპალიტეტში 2 დაბა და 61 სოფელია. აჭარა-გურიის ქედზე მდებარეობს ორი კურორტი: ბახმარო და ნაბეღლავი. მუნიციპალიტეტში 4 მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებაა: დაბა ბახმარო, სოფელი ჩხაკაურა, სოფელი ზოტი და სოფელი ქვაბღა. მუნიციპალიტეტი მდიდარია ისეთი ბუნებრივი და საკურორტო რესურსებით, როგორიცაა მინერალური და სამკურნალო წყლები; ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლები; წყლის რესურსები მცირე ჰესებისათის; ტყის მასივები; ოქროს საბადო; კარიერები გზების მშენებლობისათვის; მაღალმთიანი საზაფხულო საძოვრები.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე.

პოლონეთის სოლიდარობის ფონდთან თანამშრომლობამ და ამ თანამშრომლობის წარმატებულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პროექტის განხორციელების საქმეში. მართალია პირველ ეტაზე მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსი არ ყოფილა გამოყენებული, თუმცა გამოყენებული იქნა ჩვენი მხრიდან ადამინური რესურსი და ტექნიკური შესაძლებლობები. ურთიერთთანამშრომლობის ამ წარმატებული ნაბიჯისა და განხორციელებული პროექტის დამსახურებით შეიქმნა ენერგოეფექტურობის ჩოხატაურის მოდელი და რაც მთავარია პროექტი გახდა მდგრადი და აქვს მომდევნო წლებში სხვადასხვა სახით გაგრძელების პერსპექტივა.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

პროექტის განხორციელების პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა:
- ენერგიის მოხმარებისა და გადახდილი გადასახადების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ენერგოაუდიტის დროს დაფიქსირდა, რომ ბევრი საბავშვო ბაღის შენობა დიდი ზომისაა, ბენეფიციარების რაოდენობა არ შეესაბამება შენობის ზომას და დაკავებულობის სიმჭიდროვე საკმაოდ დაბალია. ასევე მთლიანი შენობის ფართობი ცუდ მდგომარეობაშია, ცუდი და/ან არარსებული ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის გამო;
- ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე იზღუდება გაზის აპარატურის გამოყენება საბავშვო ბაღებში. ბევრ ბაღს გააჩნია ცენტრალური გათბობის სისტემა ბუნებრივ აირზე, თუმცა არ იყენებს, რადგან ქვაბები შენობებშია განთავსებული. ეს რეგულაცია ვრცელდება ბუნებრივ აირზე მომუშავე ღუმელებზეც, ამიტომ საჭირო გახდა მათი ელექტრო ღუმელებით ჩანაცვლება. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება.
- არსებული CFL და/ან ვარვარა ნათურების გამოყენებისას, ელექტროენერგიის მაღალი ხარჯი, ნაკლები გამძლეობა.

არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, ჩატარდა შერჩეული შენობებისა და გარე განათების ენერგოაუდიტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ენერგოაუდიტის დროს შეგროვდა ყველა საჭირო მონაცემი ენერგეტიკული და ეკონომიკური გამოთვლებისთვის. განხორციელდა: მუნიციპალიტეტის კონსულტირება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და მუნიციპალიტეტისთვის ენერგოაუდიტის რეკომენდაციების შემუშავება. ჩატარებული ენერგოაუდიტის შედეგად დაიგეგმა პროცესები, რომლებიც შეამცირებს შენობის ენერგომოხმარებას და ამავდროულად შეინარჩუნებს და/ან გაზრდის შიდა კომფორტის დონეს.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

2021 წლის 1 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი (მემორანდუმი თან ერთვის). მემორანდუმი, მიზნად ისახავდა, პროექტის - „ენერგოეფექტური თვითმმართველობის ერთეული - ენერგოეფექტურობის გადაწყვეტილებების საპილოტე განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში"- განხორციელებას. გარდა ამისა, მხარეები

შეთანხმდნენ ერთობლივ საქმიანობაზე ენერგოეფექტური თემატიკის მიმართულებით. პროექტის მიზანი იყო ენერგოეფექტურობის გაზრდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და სხვა, მცირე ზომის მუნიციპალიტეტებში მსგავსი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.
პროექტის განხორციელების პროცესი მოიცავდა შემდეგ ნაბიჯებს:

- შენობების იდენტიფიკაცია;
- ობიექტზე მისვლა, სკანირება;
- გაუმჯობესების პოტენციალის ანალიზი;
- ენერგოეფექტური ღონისძიებების პაკეტების იდენტიფიკაცია (სრული პაკეტი და განხორციელებადი ენერგოეფექტური ღონისძიებები);
- საინვესტიციო დაგეგმვა;
- ენერგოეგექტური ღონისძიებების განხორციელება;
- ექსპლუატაციის მონიტორინგი.

მემორანდუმის ფარგლებში, პოლონეთის სოლიდარობის ფონდმა აიღო ვალდებულება:
- განეხორციელებინა ენერგოაუდიტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (20 შერჩეულ ლოკაციაზე);
-აუდიტის რეკომენდაციების საფუძველზე შეემუშავებინა ენერგოეფექტურობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავდა რომელი ინვესტიციები იქნებოდა საჭირო გეგმის განსახორციელებლად;
-განეხორციელებინა ენერგოაუდიტის შერჩეული რეკომენდაციები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში;
- ჩაეტარებინა საყოფაცხოვრებო ენერგოაუდიტის ტრენინგის გურიის რეგიონში;
- პროექტის საბოლოო შედეგების და ენერგოაუდიტის რეკომენდაციების მოსალოდნელი შედეგები წარედგინა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებისათვის;
- გაეწია კონსულტაციები მუნიციპალიტეტისათვის მუნიციპალური მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო შემდეგი ღონისძიებები:
- გამოყოფილიყო საკონტაქტო პირი, რომელიც ფონდთან ერთად უზრუნველყოფდა ინფორმაციის მოგროვებას და ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზებას;
- ენერგოაუდიტის სამიზნე შენობების ტექნიკური ინფორმაციისა და ენერგო მოხმარების მაჩვენებლების მოწოდება;
- შერჩეული ქუჩების გარე განათების სისტემებზე ტექნიკური ინფორმაციის, პარამეტრებისა და წლიური ხარჯის მოწოდება;
- პროექტების პრაქტიკულად განხორციელების დროს, ობიექტისა და ტექნოლოგიების შერჩევის პროცესში გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა;
- ტრეინინგების ჩატარების დროს ლოგისტიკური დახმარება (სივრცის/ადგილის უზრუნველყოფა, ადგილობრივი საზოგადოების მობილიზება და ა.შ.);
- ყველა სახის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული ნებართვების გაცემა;
- პროექტის მიერ შეძენილი ქუჩის განათების ენერგოეფექტური სანათების მონტაჟი შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

- ელექტროენერგიის ადგილობრივი გამანაწილებელ კომპანიისგან ქსელთან მიერთებული მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟისთვის საჭირო ტექნიკური პირობის (ნეტო აღრიცხვის კვანძის) მოწყობის უზრუნველყოფა; სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური აქტივების საკუთრებაში აღება: თითოეული საპილოტე ობიექტის მიერ ენერგიის მოხმარებისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების სისტემატური აღრიცხვა და პროექტის გუნდისთვის ინფორმაციის მოწოდება პროექტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში.

საქართველოში პოლონეთის სოლიდარობის ფონდსა და ენერგოეფექტურობის ცენტრ საქართველოს (ეეც) შორის დადებული საპარტნიორო ხელშეკრულების თანახმად, პროექტის „თვითმმართველობის ენერგოეფექტური ერთეულის მოდელი – ენერგოეფექტურობის გადაწყვეტილებების საპილოტე განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, ეეც-ს დაევალა შერჩეულ შენობებში ენერგოაუდიტის ჩატარება და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის ენერგოაუდიტის ანგარიშის შემუშავება. ენერგოაუდიტის დროს შეგროვდა ყველა საჭირო მონაცემი ენერგეტიკული და ეკონომიკური გამოთვლებისთვის.
ენერგოაუდიტის გამოთვლებისთვის შეგროვებული და შეფასებული მონაცემების ანალიზის შემდეგ, პოლონეთის სოლიდარობის ფონდმა ენერგოეფექტურობის ცენტრთან და კომპანია STEP SOLAR- თან ერთად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:
- სოფელ ზოტში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის #1 ბაგა-ბაღში მზის ელექტროსადგურების მონტაჟი;
- ძველი გამათბობლების ახალი, მაღალეფექტური ღუმელებით ჩანაცვლება და რაოდენობრივი ზრდა, ასევე შესყიდულ იქნა და დამონტაჟდა 100 ლედ ნათურა საბავშვო ბაღებში.
- საბავშვო ბაღების სახურავის თბოიზოლაცია.
- სოფელ გუთურში 51 ერთეული ლედგანათების მონტაჟი.

პროექტის ფარგლებში, პოლონეთის სოლიდარობის ფონდისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი საინფორმაციო ღონისძიება. მათ შორის ტრენინგ კურსი - ენერგოეფექტურობა და კლიმატ გონივრული საოჯახო პრაქტიკა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის. სადაც დაინტერესებულმა მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია ენერგოაუდიტის საშუალებით და ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგო ტექნოლოგიების გამოყენებით როგორ შეძლონ ენერგომოხმარების და შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შემცირება. ტრენინგი 2 დღის განმავლობაში ტარდებოდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და ესწრებოდა დაახლოებით 50 ადამიანი. ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში, მოხდა ტრენინგის მონაწილეების (36 ადამიანი) ტრანსპორტირება ზოტის საბავშვო ბაღში, სადაც მონაწილეებმა დაათვალიერეს ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და მზის ელექტრო სადგურები.

პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა, ჩატარდა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა მოსახლეობის მცირე ჯგუფებთან სოფელ

გუთურში, სადაც მხარეებმა ლედ განათების დამონტაჟებისა და მის უპირატესობების შესახებ ისაუბრეს.

პროექტის განხორციელების დროს გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსი, როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლების, ისე კომუნალური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან, რომელთა საშუალებითაც მოხდა სტატისტიკური თუ სხვა ინფორმაციების მოძიება და დამუშავება; ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზება; ლოჯისტიკური დახმარება პროექტის მიმდინარეობის დროს; შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება. გარდა ამისა, კონკრეტულად მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა სოფელ გუთურში 51 ერთეული ლედგანათების სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. ეს სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კონტრიბუციას აღნიშნულ პროექტში.

პროექტი განხორციელდა პოლონეთის სოლიდარობის ფონდის ფინანსური უზრუნველყოფით;

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული თუ სხვა შენობები, ტექნიკური საშუალებები. პროექტი განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობებზე.

პროექტის განხორციელების პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩართულები იყვნენ პოლონეთის სოლიდარობის ფონდი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოში, პოლონელი ენერგეტიკული ექსპერტები და ადგილობრივი მოსახლეობა.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდა 20 საბავშვო ბაღის ენერგო აუდიტი;
- შეიქმნა ენერგოეფექტურობის პროექტი ადგილობრივ თვითმმართველობებში - ჩოხატაურის მოდელი;
- მაღალმთიან სოფელ ზოტის საბავშვო ბაღსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის # 1 ბაგა-ბაღში დამონტაჟდა მზის ელექტროსადგურები;
- სოფელ ზოტის საბავშვო ბაღში ძველი გამათბობლები ჩანაცვლდა ახალი, მაღალეფექტური ღუმელებით და მოხდა ღუმელების რაოდენობრივი ზრდა, 2 ძველი ღუმელის ნაცვლად, დაიდგა 1 დიდი და 4 პატარა ენერგოეფექტური ღუმელი;
-მაღალმთიან სოფელ ზოტის საბავშვო ბაღისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის # 1 ბაგა-ბაღისათვის შესყიდულ იქნა და დამონტაჟდა 100 ლედ ნათურა;
- განხორციელდა ამავე საბავშვო ბაღების სახურავის თბოიზოლაცია;
- სოფელ გუთურში დამონტაჟდა 51 ერთეული ლედგანათება;
- ჩატარდა ტრენინგ კურსი ენერგოეფექტურობა და კლიმატ გონივრული საოჯახო პრაქტიკის შესახებ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით განხორციელებულმა პროცესებმა განაპირობა ენერგიის დაზოგვის, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და შენობების შიდა პირობების გაუმჯობესება, ენერგიის დაზოგვა და საქართველოს მხარდაჭერა მწვანე ენერგეტიკის განვითარების გზაზე განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენებით.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

ხარჯ-ეფექტურობის პროგრამის საშუალებით ჩატარებული გამოთვლების შედეგად ბაღის შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების მომგებიანობამ შეადგინა წლიური 5400 ლარი; ნათურების შეცვლის ხარჯ-სარგებლიანობამ შეადგინა 4415 ლარი.

რეალურად კი მდგომარეობა ასეთია: მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,ენერგო-პრო ჯორჯია''-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ზოტის საბავშვო ბაღსა და ჩოხატაურის #1 ბაგა-ბაღს, მზის ელექტროსადგურების დამონტაჟების შედეგად, 2022 წელს ელექტროენერგიის თანხა არ გადაუხდიათ. აღნიშნული მოწყობილობების საშუალებით ბაღებმა გამოიმუშავეს იმაზე მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყო საჭირო. ამ ეტაპზე ჩოხატაურის #1 ბაგა-ბაღს ზედმეტად გამომუშავებული აქვს 287 ლარის, ხოლო ზოტის საბავშვო ბაღს 60 ლარის ელექტროენერგია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მოიხმარენ.

მომავალი წლის გეგმებთან დაკავშირებით ქვემოთ მოგახსენებთ.
პოლონეთის სოლიდარობის ფონდთან წარმატებულმა თანამშრომლობამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა ენერგოეფექტურობის პროექტი ადგილობრივ თვითმმართველობებში - ჩოხატაურის მოდელი - რაც იყო კიდევაც პროექტის ერთ-ერთი მთავრი მიზანი და რაც საშუალებას მოგვცემს ხელი შევუწყოთ გამოცდილების გაზიარებას მსგავსი პროექტების განხორციელებაში სხვა, მცირე მუნიციპალიტეტებს.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული საკრებულოს ხელმძღვანელობა და უშულოდ საკრებულოს თავმჯდომარე. მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია მჭიდროდ თანამშრომლობდა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

2022 წლის 18 აპრილს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, შემდეგი პროექტის განხორციელების შესახებ - ,,ფაზა II მზადყოფნა თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისთვის". აღნიშნული პროექტის მიზანს წარმოადგენს ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მმართველობის შენობებში ენერგიის დაზოგვის და ინვესტირების საჭიროებების პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა, აგრეთვე ქუჩებში არსებული განათების სისტემის მოდერნიზება. ხსენებული მემორანდუმის ფარგლებში სოლიდარობის ფონდის მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებები ენერგოეფექტურობის კუთხით (მემორანდუმი თან ერთვის). მუნიციპალიტეტმა, მემორანდუმის ფარგლებში გასატარებელი ენერგოეფექტური ღონიძიებებიდან მ/წელს უნდა შეიტანოს ფინანსური წვლილი (მინიმუმ 50%) ქუჩის განათების სისტემის განახლებაში. 2022 წლის 20 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა, გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 41973.30 ლარს და ითვალისწინებს დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულისთვის ლედ სანათების/მოწყობილობების შესყიდვას (ინსტალაცია, მონტაჟი).

რაც შეეხება შემდეგი წლების ბიუჯეტში, ამავე საკითხთან დაკავშირებულ აქტივობებს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა, თანააპლიკანტ ორგანიზაცებთან (ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი და სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში) ერთად გაიმარჯვა "ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში" ეგიდით, ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში პროექტით - „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ".

პროექტის ღირებულებაა 806,892 ევრო (2218953 ლარი) სადაც ევროკომისიის მიერ გამოყოფილი გრანტი იქნება 754105 ევრო (2073788 ლარი), ხოლო მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა იქნება გამოყოფილი გრანტის 7% - 52787 ევრო (145165ლარი).

პროექტის მიზანია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორცილება და განახლებადი ენერგიის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარება საზოგადოების სამი სექტორის (მთავრობა, ბიზნესი, CSO) ჩართულობით.

პროექტი განხორციელდება 3 წლის განმავლობაში რაც მოცავს შემდეგ აქტივობებს:

- „ოპტიმალური“ ენერგოეფექტური პაკეტის დანერგვა ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის შვიდ (7) საბავშვო ბაღში, რაც მოიცავს შემდეგ ქვეაქტივობებს:

პროექტის გუნდის შექმნა და პროცესის დაგეგმვა;

მორგებული ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შემუშავება;

ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი შვიდ (7) საბავშვო ბაღის შენობაში.

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია "ენერგოეფექტური ეკონომიკა - დაზოგე ენერგია და ფული, გაზარდე შენი კომფორტის დონე", რაც მოიცავს შემდეგ ქვეაქტივობებს:

ტექნოინოვაციების „ლაბორატორიის“ შექმნა;

ტრენინგი სამიზნე ჯგუფებისთვის ენერგოეფექტურობის და სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ;

სასწავლო ტური პოლონეთში - „ენერგოეფექტურობა როგორც გზა მომავლისკენ“ - შეირჩევა 10 საჯარო მოსამსახურე;

ვიდეო/რეკლამის მომზადება ენერგოეფექტური ეკონომიკის შესახებ.

- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც მოიცავს შემდეგ ქვეაქტივობებს:

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული შერჩეული სერვისების შეფასების (კმაყოფილების ხარისხის) სისტემის დანერგვა;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვის სისტემის დანერგვა;

მუნიციპალური სერვისების გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღებში ონლაინ რეგისტრაციის სისტემის დანერგვით;

ფართო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმის დანერგვა;

სასწავლო ტური პოლონეთში - „სოციალური ინოვაციებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მაგალითები“ - შეირჩევა 10 მონაწილე.

- ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის რეინვესტირების მექანიზმების შემუშავება, რაც მოიცავს შემდეგ ქვეაქტივობებს:

სათბურის გაზების ემისიების შემცირების სამოქმედო გეგმის შემუშავება;

LED განათების ხელშეწყობა და მოდერნიზაცია მუნიციპალიტეტის მასშტაბით;

ინოვაციური, მრავალფუნქციური ენერგოეფექტური მოსაცდელი ადგილის სკამებით დამონტაჟება ჩოხატაურის ცენტრალურ პარკში;

ჩოხატაურის ცენტრში ელექტრომობილების დამტენი სადგურის განთავსება;

უდაბნოში გარე LED განათების მონტაჟი;

ენერგოეფექტური გადაწყვეტილებებიდან დანაზოგების გამოთვლისა და რეინვესტირების ინსტრუმენტების შემუშავება.

- მცირე საგრანტო პროგრამის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების, როგორც ეფექტური ენერგიის და ხარჯების შემცირების მექანიზმების პოპულარიზაციას ფიზიკური პირებისთვის, მეწარმეებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ენერგოეფექტურობის სფეროში.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

თეა უჯმაჯურიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ტელ. 577 95 55 43, ელ.ფოსტა tea_giorgi@yahoo.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

  ლელა მდინარაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი, ტელ. 577 95 79 13, ელ.ფოსტა lela.mdinaradze77@gmail.com

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

   გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

   ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

   ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

   გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

   გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

https://www.facebook.com/photo?fbid=4637861606296904&set=pcb.4637879429628455

https://www.facebook.com/photo/?fbid=4608543389228726&set=pcb.4608554022560996

https://www.facebook.com/solidarityfund.ge/videos/609941056950499

https://www.facebook.com/solidarityfund.ge/photos/pcb.1092428204630019/1092422761297230/

https://www.facebook.com/solidarityfund.ge/photos/pcb.1087556681783838/1087553615117478/

https://www.facebook.com/solidarityfund.ge/photos/pcb.1077841639422009/1077808269425346/

https://www.facebook.com/watch/?v=290245136499283

https://www.facebook.com/solidarityfund.ge/photos/pcb.1257033194836185/1257030141503157/

https://www.facebook.com/solidarityfund.ge/photos/pcb.1223697691503069/1223696731503165/

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 20 ოქტომბერი- 28 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge

ურთიერთგაგების მემორანდუმი
სოლიდარობის ფონდ პლ საქართველოსა
და
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის

თანამშრომლობის დამყარების ორმხრივი სურვილის საფუძველზე, ერთის მხრივ **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის მოვალეობის შემსრულებლის ბატონი თამაზ ჭინჭარაძის** სახით და მეორეს მხრივ სოლიდარობის ფონდი პლ საქართველო (შემდგომში - ფონდი), წარმოდგენილი ქალბატონი იუსტინა კუცუკის სახით, შემდგომში წოდებულნი როგორც მხარეები, ადასტურებს ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების სურვილს პროექტის განხორციელების თაობაზე: და თანხმდებიან თანამშრომლობის ხელშეწყობასა და განმტკიცებაზე შემდეგი სახის საქმიანობით:

1. ზოგადი დებულებები

მხარეები თანხმდებიან შეიმუშაონ ერთობლივი ღონისძიებები ორმხრივი ინტერესის მქონე საკითხების გადასაჭრელად, რაც მიზნად ისახავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პროექტის **„ენერგო ეფექტური თვითმმართველობის ერთეული - ენერგოეფექტურობის გადაწყვეტილებების საპილოტე განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში"** განხორციელებას. გარდა ამისა, ინსტიტუტები თანხმდებიან განავითარონ ერთობლივი საქმიანობა ენერგო ეფექტურობის თემატიკის მიმართულობით. პროექტის მთავარი მიზანია მოდელირებული გადაწყვეტილებების შემუშავება და დანერგვა, რაც გაზრდის ენერგოეფექტურობას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და ექნება პოტენციალი გადაიტანოს საქართველოს სხვა მცირე ზომის მუნიციპალიტეტებში.

2. თანამშრომლობის სფერო

1.თანამშრომლობის სფერო მოიცავს შემდეგი სახის ღონისძიებებს:
1.1.ენერგო აუდიტის განხორციელებას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (20 შერჩეულ ლოკაციაზე);
1.2. აუდიტის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდება ენერგოეფექტურობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს რომელი ინვესტიციებია საჭირო გეგმის განსახორციელებლად;
1.3. ენერგო აუდიტის შერჩეული რეკომენდაციების განხორციელებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში;
1.4. საყოფაცხოვრებო ენერგო აუდიტის ტრენინგის ჩატარებას გურიის რეგიონში;
1.5. პროექტის საბოლოო შედეგების და ენერგო აუდიტის რეკომენდაციების მოსალოდნელი შედეგების წარდგენას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

თითოეული საქმიანობის პირობების განხილვა და შეთანხმება მოხდა ორივე მხარის მიერ 2021 წლის 28 მაისის შეხვედრის დროს, პროექტის საქმიანობის დაწყებამდე. ყველა პირობა იყო მოლაპარაკებული ორმხრივ საფუძველზე და დოკუმენტირებული იყო წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის თანამშრომლობის პირობების განყოფილებით. თანამშრომლობის პირობების დებულებები განსაზღვრავს თითოეული მხარის კონკრეტულ პასუხისმგებლობას და მოვალეობებს. ყველა ხელშეკრულება უნდა იყოს დამტკიცებული და ხელმოწერილი ამ ურთიერთგაგების მემორანდუმის თითოეული მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

3. ძირითადი დებულებები

3.1.წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის აღსრულება განხორციელდება **„სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოს“** საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის და **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს** შორის შესაბამისი წესებისა და რეგულაციების დაცვით.
3.2.მხარეები წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს განახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ორივე მხარის ფასეულობებისა და პრინციპების გათვალისწინებით, დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი პრინციპების: კანონის წინაშე თანასწორობის, სიტყვის თავისუფლების, აზროვნების, თავშეყრის, ასოცირების და საარჩევნო უფლებების, და სხვა სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების დაცვით.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

1. ფონდი იღებს ვალდებულებას:
1.1.ენერგო აუდიტის განხორციელება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (20 შერჩეულ ლოკაციაზე);
1.2. აუდიტის რეკომენდაციების საფუძველზე ენერგოეფექტურობის გეგმის შემუშავებას, რომელიც განსაზღვრავს რომელი ინვესტიციებია საჭირო გეგმის განსახორციელებლად;
1.3. ენერგო აუდიტის შერჩეული რეკომენდაციების განხორციელებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში;
1.4. საყოფაცხოვრებო ენერგო აუდიტის ტრენინგის ჩატარებას გურიის რეგიონში;
1.5.პროექტის საბოლოო შედეგების და ენერგო აუდიტის რეკომენდაციების მოსალოდნელი შედეგების წარდგენას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებისათვის;
1.6. კონსულტაციებს მუნიციპალიტეტისათვის მუნიციპალური მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში (MSECAP).

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

2.1. მუნიციპალიტეტიდან საკონტაქტო პირის გამოყოფა, რომელიც დაგვეხმარება ინფორმაციის მოგროვებაში და ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზებაში/კოორდინირებაში (ასეთი პირი უკვე გამოყოფილია);
2.2. ენერგო აუდიტის სამიზნე შენობების ტექნიკური ინფორმაციისა და ენერგო მოხმარების მოწოდება (პრინციპში ეს ინფორმაციაც უკვე მოწოდებულია);
2.3. შერჩეული ქუჩების გარე განათების სისტემებზე ტექნიკური ინფორმაციის, პარამეტრებისა და წლიური ხარჯის მოწოდება (ეს ინფორმაციაც მოწოდებულია უკვე);
2.4. პროექტების პრაქტიკულად განხორციელების დროს, ობიექტისა და ტექნოლოგიების შერჩევის პროცესში გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა;
2.5. ტრეინინგების ჩატარების დროს ლოგისტიკური დახმარება (სივრცის/ადგილის უზრუნველყოფა, ადგილობრივი საზოგადოების მობილიზება და ა.შ.);
2.6. ყველა სახის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
2.7. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული ნებართვების გაცემა და სხვა უწყების უფლებამოსილების;
2.8. პროექტის მიერ შეძენილი ქუჩის განათების ენერგო ეფექტური სანათების მონტაჟი შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (არ ვიცი სანათების შეძენა იგეგმება თუ არა მაგრამ მაინც სჯობს იყოს ეს ჩანაწერი);

2.9. ელექტროენერგიის ადგილობრივი გამანაწილებელ კომპანიისგან (ენერგო პრო საქართველო) ქსელთან მიერთებული მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟისთვის საჭირო ტექნიკური პირობის (ნეტო აღრიცხვის კვანძის) მოწყობის უზრუნველყოფა; სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური აქტივების საკუთრებაში აღება; თითოეული საპილოტე ობიექტის მიერ ენერგიის მოხმარებისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების სისტემატური აღრიცხვა და პროექტის გუნდისთვის ინფორმაციის მოწოდება პროექტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში.

5. ფორს -მაჟორი

5.1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში იქნება Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები, როგორც ფორს-მაჟორული გარემოება, მხარეები შესაძლოა იძულებული გახდნენ გააუქმონ ან შეცვალონ ღონისძიებების მიმდინარეობა.
5.2. მხარეები თავისუფლდებიან მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისგან, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულად და ჯეროვნად შეესრულებინა მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება ეპიდემია, პანდემია და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები).
5.3. მხარე, რომელსაც შეეხება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები, ვალდებულია მეორე მხარეს გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

მუხლი 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

6.1. მემორანდუმი ძალაში შედის 2021 წლის 1 ივლისიდან და ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6.2.მხარეთა მიერ წერილობითი თანხმობის შედეგად შესაძლებელია მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ან ვადის გაგრძელება.
6.3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი 1 (ერთი) თვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ნებისმიერი პროექტი და/ან აქტივობა, რომელიც უკვე დაწყებულია, უნდა დასრულდეს ორივე მხარის შესაძლებლობების შესაბამისად.
6.4. ეს ხელშეკრულება გაფორმებულია ორ იდენტურ ეგზემპლიარად ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითო თითოეული მხარისათვის.

სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოს სახელით:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სახელით:

chokhatauri municipality

Digitally signed by chokhatauri municipality
Date: 2021.09.17 16:40:39 +04'00'

იუსტინა ქუცუკი
წარმომადგენლობის დირექტორი

თამაზ ჭინჭარაძე

მერის მოვალეობის შემსრულებელი

თარიღი:
01.07.2021

01.07.2021

ურთიერთგაგების მემორანდუმი
სოლიდარობის ფონდსა PL საქართველოში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის

ნაყოფიერი თანამშრომლობის ჩამოყალიბების ორმხრივი სურვილის საფუძველზე, ერთის მხრივ ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც წარმოადგენს ჩოხატაურის მერი, ბატონი დავით შარაშიძე და მეორეს მხრივ სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში (შემდგომში - ფონდი), რომელსაც წარმოადგენს წარმომადგენლობის დირექტორი ქალბატონი იუსტინა კუცუკი, (შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები) ადასტურებენ საკუთარ სურვილს გააფორმონ ურთიერთგაგების მემორანდუმი და თანახმანი არიან ხელი შეუწყონ და მხარი დაუჭირონ ურთიერთთანამშრომლობას შემდეგი აქტივობების ფარგლებში:

1. ძირითადი დებულებები

ორივე ორგანიზაცია ადასტურებს საკუთარ სურვილს ძალაში შევიდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი (MoU) შემდეგი პროექტის განხორციელების შესახებ - **"ფაზა II: მზადყოფნა თანამედროვე ენერგო-ეფექტური ტექნოლოგიებისთვის"**. გარდა ამისა, მხარეები თანხმდებიან განავითარონ ერთობლივი აქტივობები ორმხრივი ინტერესის საკითხების გადაჭრის მიზნით, რომლებიც შექმნილია ენერგოეფექტურობის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის. აღნიშნული პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მმართველობის შენობებში ენერგიის დაზოგვის და ინვესტირების საჭიროებების პოტენციური შესაძლებლობის გამოვლენა, აგრეთვე ქუჩებში არსებული განათების სისტემის მოდერნიზება.

2. თანამშრომლობის სფეროები

1. თანამშრომლობის სფერო მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი აქტივობებით:

1.1. ჩოხატაურის ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებული საზოგადოებრივი შენობების დეტალური შესწავლა.

1.2. ელექტროენერგიის მოხმარების ფართო ანალიზი ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის შერჩეულ საზოგადოებრივ შენობებში (20-მდე შერჩეულ ლოკაციაზე)

1.3. პრიორიტეტების დასახვა ინვესტირებასთან დაკავშირებით და ქუჩის განათებების მოდერნიზება ჩოხატაურის ადგილობრივ თვითმმართველობაში.

1.4. „ენერგო-ეფექტურობისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის“ შექმნა.

თითოეული მოქმედების პირობები განხილული და შეთანხმებული იქნა ორივე მხარის მიერ 2021 წლის 13 აპრილის შეხვედრის დროს, პროექტის ინიციატივასთან დაკავშირებული აქტივობების დაწყებამდე. ყველა პირობაზე მოხდა შეთანხმება ორმხრივად და აღნიშნული პირობები დოკუმენტირებულია წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში მოცემულ მუხლში - თანამშრომლობის პირობები. თანამშრომლობის პირობებში მოცემული დებულებები განსაზღვრავს თითოეული მხარის კონკრეტულ პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს. ყველა შეთანხმება დამტკიცებული და ხელმოწერილი უნდა იყოს აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის თითოეული მხარის წარმომადგენლის უფლებამოსილი პირის მიერ.

3. წესები

3.1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელება მოხდება სოლიდარობის ფონდის PL საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკისა და ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის სათანადო პოლიტიკისა და რეგულაციების მიხედვით.
3.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას განახორციელონ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ორივე მხარის ღირებულებებისა და პრინციპების პატივისცემის დაცვით: განსაკუთრებით კი დემოკრატიული სისტემის ძირითადი პრინციპებისა და ისეთი ღირებულებების გათვალისწინებით, როგორიცაა: კანონის წინაშე თანასწორობა; სიტყვის თავისუფლება, სინდისის, შეკრების, გაერთიანების, საარჩევნო უფლება და სხვა სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

4. თანამშრომლობის პირობები

4.1. სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში იღებს ვალდებულებას:

4.1.1. გააფორმოს ხელშეკრულება პოლონელ ექსპერტთან ენერგო-ეფექტურობის საკითხებში პროექტში ჩართული გუნდის მხარდაჭერის მიზნით და ადგილობრივ დაინტერესებული პირების ჩართულობით ერთობლივად შეიმუშაოს დოკუმენტი - „სამოქმედო გეგმა ენერგო-ეფექტურობის მისაღწევად".

4.1.2. განახორციელოს ენერგო აუდიტი 20-მდე შერჩეულ საზოგადოებრივ დაწესებულებებში ჩოხატაურის ადგილობრივ თვითმმართველობაში.

4.1.3. შეიმუშაოს ენერგოეფექტურობისთვის საჭირო ზომები სხვადასხვა კატეგორიის საზოგადოებრივი შენობებისთვის, როგორიცაა ადმინისტრაციული შენობები, სპორტული ინფრასტრუქტურა (ე.ი. მოედნები, სპორტული დარბაზები) და დასვენებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა (ე.ი. მუზეუმები, ბიბლიოთეკები).

4.1.4. მოდერნიზაცია ჩაუტაროს ქუჩის განათებას ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის ნაწილში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტში გაწეული ფინანსური კონტრიბუციის საფუძველზე.

4.1.5. წარადგენს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ შემუშავებულ პაკეტს, ენერგიის დაზოგვის პოტენციალს და ინვესტირებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.

4.1.6. კონსულტაციას გაუწევს ჩოხატაურის ადგილობრივ თვითმმართველობას და სახელმწიფოში სათანადო დაინტერესებულ მხარეს მუნიციპალური მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (MSECAP) საქმიანობის განმტკიცების საქმეში.

4.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას:

4.2.1. გამოყოს საკონტაქტო პირი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან სოლიდარობის ფონდის PL საქართველოში, დახმარების მიზნით და ენერგო ეფექტურობის ცენტრიდან საქართველოში (EECF) - სექტორის თანაშემწე , სათანადო მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებისა და აგრეთვე ადგილზე ღონისძიებების ორგანიზება/კოორდინაციის მიზნით.

4.2.2. მიაწოდოს საზოგადოებრივ შენობებთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის ყველა საზოგადოებრივ შენობაში მათი ტექნიკური მდგომარეობისა და ენერგიის მოხმარების შესახებ, აგრეთვე გადასახადებისგან თავისუფალი საბავშვო ბაღების შესახებ.

4.2.3. განახორციელოს ჩოხატაურის თვითმმართველობის ქუჩების განათების ინვენტარიზაცია და მიაწოდოს მისი შედეგები ან მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის იურისდიქციის ქვეშ მყოფი განათების თითოეულ ბოძზე არსებული ნათურების ტიპის შესახებ.

4.2.4. ხელი შეუწყოს კონტაქტების გაადვილებას და მოამზადოს საჭირო დოკუმენტები რათა მიიღოს მონაცემები ენერგიის მიმწოდებლებისგან და სახელმწიფოს შესაბამისი წარმომადგენლების მხრიდან.

4.2.5. მისცეს უფლება სოლიდარობის ფონდს PL საქართველოში და აგრეთვე ენერგო ეფექტურობის ცენტრს საქართველოში (EECF) ქონდეს წვდომა საზოგადოებრივი შენობების შესახებ არსებულ მონაცემთა ბაზაზე.

4.2.6. მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არსებული ქუჩის განათების მოდერნიზაციაში და აგრეთვე ინვესტირების პრიორიტეტების დასახვაში.

4.2.7. შეიტანოს ფინანსური წვლილი (მინიმუმ 50%) არსებული ქუჩის განათების სისტემის განახლებაში.

4.2.8. უზრუნველყოს დახმარება ლოგისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით შენობის დეტალურად შესწავლის, ფართო ენერგო აუდიტის და ქუჩის განათების მოდერნიზაციის განხორციელების დროს.

4.2.9. მოამზადოს საჭირო დოკუმენტაცია ყველა სახის ნებართვის მოპოვების მიზნით. გასცეს ნებართვა საკუთარი უფლებამოსილებისა და სხვა უწყებების უფლებამოსილების ფარგლებში.

4.2.10. მხარი დაუჭიროს არჩეულ კომპანიას ქუჩების განათების მოდერნიზაციისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე დიოდური (LED) ნათურების დამონტაჟებაში.

4.2.11. დანიშნოს საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქუჩის განათების მოდერნიზებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე.

4.2.12. აიყვანოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე ქუჩის განახლებული განათება და უზრუნველყოს მისი რეგულარული მომსახურება.

5. პუნქტი ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ

5.1. თუ საქართველოში არსებობს COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები, როგორც ფორსმაჟორი, მხარეები შესაძლოა იძულებულები გახდნენ გააუქმონ თავიანთი ჩართულობა ან შეცვალონ შეთანხმებული თანამშრომლობის საგანი.

5.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო კონტროლის მიღმა არსებული ძალით/გარემოებით, რომლის დროსაც მხარეებს, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ მიეცათ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და სათანადოდ შესრულების შესაძლებლობა. ზემო აღნიშნული კონტროლს მიღმა ძალები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის ეპიდემიას, პანდემიას და სხვა (ფორსმაჟორულ გარემოებებს).

5.3. ამგვარი ფორსმაჟორული გარემოებებით დაზარალებული მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა).

6. ურთიერთგაგების მემორანდუმის ხანგრძლივობა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

6.1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაშია 20.04.2022 დან 31.12.2022 წლამდე პერიოდის განმავლობაში.
6.2. აღნიშნულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ნებისმიერი შესწორება მოითხოვს თითოეული მხარის წერილობით თანხმობას. საწყისი თვის პერიოდის შემდეგ, აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმი შესაძლებელია განახლდეს წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
6.3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმი 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ნებისმიერი პროექტი და/ან აქტივობა, რომელიც უკვე დაწყებულია, უნდა დასრულდეს ორივე მხარის მიერ საუკეთესო შესაძლებლობის ფარგლებში.
6.4. წინამდებარე შეთანხმება გაფორმდა ორ იდენტურ ეგზემპლარად ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითო ეგზემპლარი ეკუთვნის თითოეულ მხარეს.

სოლიდარობის ფონდის PL საქართველოში	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელით
სახელით	
ქალბატონი იუსტინა კუცუკი	ბატონი დავით შარაშიძე
წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თარიღი: 18.04.2022	მერი თარიღი: 18.04.2022

Davit Sharashidze 46001021630
Digitally signed by Davit Sharashidze
Date: 2022.04.21 14:29:15

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში
I.Chavchavadze Ave. N42
0179 Tbilisi, Georgia
404577203
SOLIDARITY FUND PL IN GEORGIA